შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/08

თბილისი **“ 05 “ თებერვალი 2019 წ.**

მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთუნი–ს წესდების მე–5 მუხლის, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთუნი-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ინფორმატიკის კათედრის გამგის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიმდინარე წლის 05 თებერვლიდან შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით გამოცხადდეს კონკურსი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად 2018 - 2019 სასწ/წელზე.

2. მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს შემდეგ თანამდებობაზე:

ინფორმატიკის კათედრა
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

სასწავლო კურსი - საბანკო საქმის ელექტრონული სისტემები - ბანკი 2000
ვაკანტური ადგილი - 1 საშტატო ერთეული.

3. კონკურსანტების საბუთების მიღება იწარმოოს მ/წლის 20 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან – 16 საათამდე)

4. კონკურსი ჩატარდება მ/წლის 7 მარტს.

5. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში (11, 12, 13 მარტი)

6. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს მ/წლის 14 მარტს.

7. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- კონკურსანტის ანკეტა (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია (არსებობის შემთხვევაში)
- სილაბუსები
- ბანკში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა.
- პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა.

8. ყველა კონკურსანტმა სასურველია წარმოადგინოს:

- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი ცნობა
- სხვა სერთიფიკატები

დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.

რექტორი გიორგი მათიაშვილი